№ 135, ივნისის 26, ოთხშაბათი. 1866—1885 ივნისის 26, ოთხშაბათი. № 135.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. ჩვეულებრივ სტრიქონებისა ითვლება მათგან დაქვერლილნი ადგილის ყალობაზედ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დახანგრძლივად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა ვაზეთის „დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დაჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

ახირებული დავა

ამას წინად ჩვენ დაებეჭდეთ «ვინმე რჩევაში მონაწილეთაგანის» წერილი შესახებ ქუთაისის გუბერნიის მარშლის ამორჩევისა. იმერეთის თავადაზნაურობა აღტაცებულია ბ-ნი დ. ი. ყიფიანის ამორჩევით. ამ ვითარებას იმერლები დიდს მნიშვნელობას აძლევენ; დიდ საქვეყნო სასარგებლო საქმედ სცნობენ. ამის დასამტკიცებელი საბუთი ეს არის, რომ ბ-ნს დ. ი. ყიფიანს არც ერთი შავი კენჭი არ მოსვლია და ამასთანავე ექვსას თუმნამდე ჯამაგირიც დაენიშნა. როგორც მოწინავე რაზმი, ისე დანარჩენი საზოგადოება განუსაზღვრელ აღტაცებაში მოუყვანია წლევანდელ არჩევანის შედეგსა. ქუთაისიდამ ამის შესახებ მოგვივიდა ცნობა, რომელიც უკვე დაებეჭდეთ; იქ იყო ნათქვამი, რომ თ-დმა აკაკი წერეთელმა და კ. ლორთქიფანიძემ თავიანთი გავლენით, სიტყვით და მეცადინეობით წასწიეს წინ საქმეო, ესე იგი—იმათ უნდა ვუმადლოდეთ, რომ ბ-ნი დ. ი. ყიფიანი ერთხმად ამოირჩიესო.

რასაკვირველია, ყოველ საზოგადო საქმეში ნასწავლი და განათლებული კაცები უნდა იყენენ მეთაურნი; საეჭვო არ არის, რომ თთ. აკ. წერეთელს და კ. ლორთქიფანიძეს და სხვა ამათ ამხანაგებს როგორც მოწინავე რაზმს დიდი გავლენა უნდა ჰქონდეთ საზოგადოებაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ არც თ. აკ. წერეთელს და არც თ. კ. ლორთქიფანიძეს არ აღმოუჩენიათ ისეთი მეცადინერება, როგორიც მიაწერეს მათ ჩვენმა ქუთაისელ კორესპონდენტმა და აქაურმა რუსულ გაზეთმა «Новое Обозр.» წარმოიდგინეთ, რომ ამ რუსულ გაზეთმა დაბეჭდა მრთელი სიტყვა, ეითომდა თ. აკ. წერეთლისაგან წარმოთქმული კენჭის ყრის დროს კრების დარბაზში. მერმე თვითონ თ. აკ. წერეთელმა უარი-ჰყო ეს სიტყვა და გამოაცხადა «დროებაში», რომ ეს სიტყვა მე არ მითქვამს, თქვენ თითონ შეგითხზავთო. ჩვენ პირადად დიდს მნიშვნელობას არ ვაძლევთ იმას, თუ ვინ იყო კრებაში უმთავრესი მომქმედი პირი და ორატორი და ვინ მეცადინეობდა ბ. დ. ყიფიანის აღმორჩევას; მხოლოდ, რადგან დავა ასტყდა და ამ დავაში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა გამოჩენილმა მწერალმა აკაკიმ, არ შეგვიძლია არ ვაღვიაროთ, რომ ბ. დ. ყიფიანის ამორჩევის მიზეზი ყოფილან ბ. ს. მ—ნი და ნ. ალ. ნიჟარაძე. იმათ სიტყვას და იმათ ქცევას კიდე უფრო გაუმაგრებია სურვილი საზოგადოებისა, რომელიც დიდის ხნით ყოფილა მომზადებული ბ. დ. ი. ყიფიანი ამოერჩია.

ყოველი ეს ამბავი დაწერილებით და დალაგებით იყო მოხსენებული «ვინმე რჩევაში მონაწილეთაგანის» წერილში. ეგირილიდამ (იხ. «დროების», № 128). ეგირილელ ავტორს გუშინ უპასუხა გაჯავრებულის და დაცინვის კილოთი თ. აკ. წერეთელმა. მაგრამ ამ პასუხში იპოვით მხოლოდ მრისხანებას და დაცინვას, და არა ფაქტების დარღვევას. თ. აკ. წერეთელი ჰკითხულობს: «ნეტავი რა უნდოდა დაემტკიცებინა ამ წერილით? თავისი დიდ ვინმეობა და გავლენიანობა, თუ მხოლოდ ის, რომ წერეთელსა და ლორთქიფანიძეს არავითარი გავლენა არა აქვთო?»

ეგირილელ წერილიდამ სჩანს, რომ ავტორს არც ერთი და არც მეორე არ სდომებია: აბა, ვინ იქნება ისეთი, რომ თ. აკ. წერეთლისა და კირ. ლორთქიფანიძის საზოგადოებაზე გავლენის შესახებ ეჭვი მიიტანოს!

მხოლოდ იმან აღადგინა ჭეშმარიტება და ამითი გაასწორა ჩვენის ქუთაისელ კორესპონდენტის შეცდომა. ჩვენ გვგონია, რომ ეს არავისათვის საწყენი არ უნდა ყოფილიყო. სასაყვედუროა ამ შემთხვევაში ჩვენის მხრით მხოლოდ ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტი, რომელმაც ისე არ გადმოგვცა ამბავი როგორც იყო.

როცა რომელიმე მახვილობაზე და მოსწრებულ სიტყვაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უეჭველად თარხანს მიაწერენ, თუ გინდ რომ თარხანს სულაც არ ეკუთვნოდეს იგი. ამ გვარიევ ჩვეულება დასჩემებიათ ჩვენს კორესპონდენტებს: ყოველ საზოგადო მოღვაწეობას უეჭველად ორიოდ-სამიოდე პირს მიაწერენ, თუ გინდ რომ ამ საქმეში იმათ არავითარი მონაწილეობა მიეღოთ. ეს ჩვეულება არ საქებარია და მავნეც არის. ამ გვარის ქცევით ვერც იმათ შეემატებთ ვერაფერს, ვისიც ქება გვინდა, რადგან იმათი ღვაწლი ისედაც თვალ-საჩინოა, და სხვებს კი, შეიძლება გული აეუკრუოთ.

«მიეცით ქეისრისა ქეისარს და ღმრთისა-ღმერთს». აბა, ერთი ბძანეთ თ. აკ. წერეთელს იმითი რა შეემატება, რომ ს. მ—ნის და თ. ალ. ნიჟარაძის ნათქვამი მიაწეროთ, და ს. მ—ნი და ალ. ნიჟარაძე კი, შეიძლება, გულ-

მამის მსხვერპლი

ანდრეევ-ბურლაკის მოთხრობა

ბუსულიო.

მკაცრი შემოდგომის ღამე მეფობდა ფინეის ზღვის ყურეზედ. ბაფთრებული ტალღები გაცოფებული ეხეთქებოდენ სვეაბორგის კლდეებს და ღონე მიხდილნი მხეცურის ღრიალით უკანვე იფანტებოდენ მის მაგარ გრემლზე. ციე ქარი გრიალით მოჰქროდა მაღალ ციხის კედლებზედ, ზუზუნებდა ფანჯრებში, სევდიანად გუგუნებდა ქონგურებში და გამარჯვებით, თავისუფლად გამოსული, ხელახლად მიაქროლებდა ბნელს ზღვის უფსკრულში და თან ჰგლეჯდა ზეციერ-თების ქაფსა.

ბასტიონის კუთხიდამ გამოჩნდა სინათლე. რამდენიმე კაცი მკრთალად განათებული ფარნით ნელნელა მოდიოდენ ციხის ძირას, მოისმა თოფიარაღის ჩხარუნი—ესენი ღამით მოარულნი მხედარნი იყვნენ, დარაჯებს აყენებდენ თავიანთ ადგილებზედ.

— აბა, ფხიზლად იყავ!—ეუბნებოდა უფროსი ახალ-გაზდა სალდათს, რომელსაც დარაჯად აყენებდა.

ქაცები უკანვე გაბრუნდენ.

თავის დღეში ეს ახალგაზდა სალდათი არა ყოფილა ასე ახლოს გაფთრებულ ზღვასთან. სულ ორი დღე იყო, რაც ამის პოლკი რუსეთიდამ ფინლიანდიაში გადმოიყვანეს.

«თურმე რა ნაირი ყოფილა ზღვა, ღრიალი გააქვს აქ სიდღაც, დაბლა, სულ ძირს... ალაშე წუნწკლები ცეპუნა ტალღებისა ამასთანაც მიაღწევს... მაგრამ კი არა სჩანს-რა.... სრულიად არა სჩანს-რა...

წვიმა და ქარიშხალი აჭირვებს საქმეს.

შიშობს სალდათი. თავის დღეში არც კი მოსიზმრებია იმას, შუაგულ რუსეთში დაბადებულს, ამისთანა საშინელება. მერე რამდენჯერ შემოდგომის ბნელ ღამეებში დარჩენილა ტრიალ მინდორშიაც, დაბურულ ტყეებშიაც, მდინარის ნაპირასაც, მაგრამ არც კი შემკრთალა და ეხლა რა ემართება, რომ ასე შიშობს.

«ნეტა რა უნდა იყოს?... ჩვენ მგელიც ბლოკად გვყავს, დათვიც ხომ არის, მაგრამ მაინც მოსვენებით ვწვებით და ყურსაც არ ვიბერტყავთ, აქ კი... რა საშინელი გრიგალია! და კრუსუნით სალდათმა ბასტიონისკენ გასწია.—«აქ უფრო მყუდროობაა, ისე არ უბერავს.» დარაჯი თოლუფში კარგად გაეხვია და ქვაზედ ჩამოჯდა.

ქარიშხალი კი ღმუის და ღმუის. შუაღამის შემდეგ უფრო იმატა გრიგალმა.

«უჰ, რა ავი დარია! უფროსმა მიბძანა: «ფხიზლად იყავიო!» რა საჭიროა ფხიზლობა?—შიქროობს სალდათი —ბანა ამისთანა ავდარში ციხიდამ ვინმე გაიქცევა? ეს ხომ დასაღუპად თავის გაწირვა იქნება. . ან სად უნდა გაიქცენ, როდესაც ირგვლივ წყალია? მამა ჩემი კი დამავიწყდა?—

უეცრად გაუელვა მას თავში.—მაშ მამა ჩემი როგორ გამოიქცა? დიაღ, მე მახსოვს როდესაც მაღალ-მაღალმა, ჭაღარა შერთულმა მოხუცმა გვითხრა: «ბოჩკებში ვისხედით და ორი დღე და ღამე ისე მოვცურავდით ზღვაზეო...» დიაღ, მე კარგად მახსოვს როგორც მოვიდა ის ჩვენსა ღამე, მიჯდა ბნელ კუნჭულში, ჩამისვა კალთაში... მკოცნიდა და თან ტიროდა... დედა ჩემიც ტიროდა... რა ნაირად შემებრალა. იმ ღამესვე წავიდა ჩვენგან. დედამ გვითხრა: «ეგ მამა თქვენიაო!» თანაც დამარიგა, არავის უთხრა იმისი ჩვენსა ყოფნაო. ამ ღამეს დიდხანს არ დაგვეძინა, დედა და ძალუა ჩემი სულ ლოცულობდენ... ვინ იცის დედა ჩემი ცოცხალია თუ არა... რა ავადმყოფი დავტოვე... ღმერთი მაჩვენებს იმას კიდევ?... და თვალ-წინ ცხოველად წარმოუდგა თავისი მოხუცი დედა.

«აი, იგი წირვაზედ მიდის, დაბალი, მოკუზული, ჯოხზედ დაბჯენილი. ხელში უჭირავს თეთრი ხელსა

ნაკლულნი დარჩნენ, რომ იმათი ცოტაოდენი მოღვაწეობა უყურადღებოდ დარჩეს.

შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ ვლადიკავკავის საეკარიო საკუთარ ეპარქიად გადაკეთდეს. ახალს ეპარქიას შეადგენს მთლად თერგის ოლქი და ჩრდილოეთი ოსეთი. თერგის ეპარქია დაემორჩილება საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას ისე, როგორც ემორჩილებიან საქართველოს სხვა ეპარქიები. ამ ახალი ეპარქიის შესანახად სახელმწიფო ხაზინა გაიღებს 12,600 მან. ყოველ-წლივ 1886 წლიდამ; ამ წელსკი თერგის ეპარქია იმ შემოსავლით ისარგებლებს, რაც ეხლა აქვს შტატით, თერგის და ვლადიკავკავის ეპისკოპოსს დანიშნული აქვს ჯამაგირად წელიწადში 3,000 მან.; ამას გარდა საარქიელო სახლის შესანახად 2,120 მან. ყოველ-წლივ. ეპარქიის არქიელის კანცელიარიის ხარჯად გამოანგარიშებულია 2,500 მან. და საკათედრო სობოროს შესანახად 4,640 მან. ვინ დაინიშნება თერგის არქიელად ჯერ არ ვიცით. რაკი ეს ახალი ეპარქია არსდება განზრახვა აქვთ სასულიერო სასწავლებელი მოზდოკიდამ ვლადიკავკავში გარდაიტანონ.

⊖⊖⊖ წლეულს თბილისის რეალურს სასწავლებლის მე VI კლასში ქართველი მხოლოდ ოთხი შეგირდი ყოფილა, რომელნიც მეშვიდე კლასში გადასულან.

⊖⊖⊖ რაჭის მაზრის სოფ. ზვარეთიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად ყვავილი იქაც საშინლად არის გავრცელებული. დღე არ გავა, რომ ორი და სამი ბავშვი არ იმსხვერპლოსო.

⊖⊖⊖ იქიდამვე გვწერენ, რომ იქაური სოფლის მოხელე ბევრს საქმეში უკანონოდ იქცევაო და ყოველს საქმეში თავის ნათესავებს ესარჩლება და ამართლებს, თუ გინდ რომ კიდეც ცამდის მტყუანი იყონო.

⊖⊖⊖ ზანჯიდამ გვწერენ: «ამ რამდენიმე დღის წინად აქ ისე ციოდა, რომ ქრისტეშობის თვეს გვაგონებდაო, მაგრამ ეხლა-კი დიდი სიცხეები დაიჭირა და ავადმყოფობაც თან მოჰყვაო.—პურის მკა გათავდა და როგორც ამბობენ ამისთანა მოსავალი კარგა ხანია არა ყოფილაო.»

⊖⊖⊖ იქიდამვე გვწერენ, რომ ქვაბასა და თაფზს შუა ქურდებმა მატარებლის მე 14 №-რი გახსნეს და ერთი ცალი მანუფაქტურის საქონელი გამოიტანეს, რომელიც, როგორც ამბობენ, ას ორმოცი თუმანი ღირდაო. როგორც ჩანს ქურდები ძვგამის სტანციიდამ გაჰყოლიან. ამ საქმის გამოისობით სამი კონდუქტორი დაითხოვეს სამსახურიდამაო.

⊖⊖⊖ ბექათუბნიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 10-ს საშინელი წვიმა მოსულა საღამოს ექვს საათზედ. სოფ. ზვარის აბანოები დაუქცევია და მრავალი საქონელი დაუღრჩვია.

⊖⊖⊖ თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავსმჯდომარემ გონჩაროვმა დაათვალიერა ყარსის ოლქის სამოსამართლო დაწესებულებანი და განზრახვა აქვს მცირე ხნის განმავლობაში დააწესოს ყარსის საოლქოში სამი გამომძიებელ-მომრიგებელი სასამართლო: არდაგანში, ქაგიზმანში და არგინოში. არდაგანს და ოლთისის ოლქში ერთი გამომძიებელ-მომრიგებელი სასამართლო იქნება, ალ-ბაზინის და შურაგალის ნაწილებში მეორე, ქაგიზმანის ოლქში მესამე, ზარუშალის, სოღანლუღის, ყარსის ნაწილებიც და თვით ყარსიც ყარსის მომრიგებელ სასამართლოს გამგეობაში იქნებიან. ყარსის მომრიგებელ სასამართლოს საგამოსაძიებელ ნაწილისათვის საკუთარი გამომძიებელი იქნება დანიშნული. ყველა ეს ცვლილება ამ წლის სექტემბერში შესრულდებაო. „ყარსი“.

⊖⊖⊖ „ნოვოე ობოზრენიეში“ ვკითხულობთ, რომ თბილისის სასულიერო სემინარიიდამ გამორიცხული შეგირდი სილვესტრე ჯიბლაძე ამ დღეებში მეტეხის ციხიდამ ეკატერინოდარის დისციპლინარულს ბატალიონში გაუგზავნიათ, სადაც ორი წელიწადი უნდა დაჰყოს სემინარიის რექტორის მოქმედებით შეურაცხყოფისათვის.

შენიშვნა

წერილი რედაქციის¹ დმი

ახლანდელ დროს, ვინ არ იცის, რომ ყოველი წარჩინებული ერის ცხოვრებაში როგორის დაუღალავის ენერგიით მოქმედობს მოაზრე საზოგადოება, რომელსაც სულით და გულით ჰსურს ხალხის ზნეობითი და გონებითი მდგომარეობის გაუმჯობესობა, წარმატება...

გულს კაეშანი გშორდება, დროებით მაინც, როცა ხედავ, რომ ჩვენს ცხოვრებაშიაც შესაძლებელი ყოფილა რამოდენიმე კერძო პირების მოპოვება, რომელნიც თავიანთ დანიშნულებას არ ღალატობენ და სცდილობენ - თავის მომეთ სწავლით და განათლებით მოუპოვონ სურვილი უკეთესობისა და წარმატებისა.

სწორედ ამ გვარ კერძო პირების კეთილ განზრახულების შესახებ მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, ბატონო რედაქტორო.

გასულს, 1884 წელს ს. გულეკარში, (სენაკის მაზრა) დააარსეს სკოლა, რომელთანაც აქაურმა კეთილშობილობამ დაარსა სასარგებლო და ხალხის გონობისათვის გამოსადეგი ქართული წიგნების პატარა ბიბლიოთეკა, საიდამაც ყოველს წერა-კითხვის მცოდნეს შეუძლიან ისარგებლოს. მოკლეს ხანში ამ ბიბლიოთეკისათვისვე უნდათ გამოიწერონ სამიოდ ქართული დრო-გამოშვებითი გამოცემანი. საზოგადოება ალტაცებით მიეგება, ამ საქმეს. წიგნები გამოაქვთ, კითხულობენ... მე ამ სტრიქონების დამწერი შემდეგს სასიამოვნო სანახავს შევესწარი ერთხელ: ერთს საღამოს რამდენიმე მეგრელი გლეხნი შეგროვილიყვნენ და ერთი მათგანი თავის ამხანაგებს უკითხავდა ჩვენის პოეტის, ილიას პოემას—«დიმიტრი თავ-დადებულს». როცა მკითხველმა დაასრულა პოემა ყველას თითქმის ცრემლები მოადგათ თვალებზე, მეტის-მეტის ალტაცებისაგან სწყევლიდენ თავიანთ თავს, რომ არ იციან წერა-კითხვა და ხშირად «ამისთანა ამბები» წაუკითხველი რჩებათ —ამ ფაქტს რაღა განმარტება სჭირიან. ეს ერთი გარემოებაც საუკეთესო ჯილდოა იმათი რომელთაც გულეკარელებისათვის ასეთი მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინეს. ამ ხანად ერთად-ერთი გულითად წადილი ჩვენი ის არის, რომ სხვა საზოგადოების კეთილ-შობილობამაც მიბაძოს ს. გულეკარის კეთილ-შობილთ მაგალითს და მცირეც არის სასარგებლო გონებითი საზრდო მიუნიჭოს ხალხის გონიერულს მოთხოვნილობას.

დასასრულს ორიოდ სიტყვა მსურს მოგახსენოთ გულეკარის საზოგადოებაზე. იშვიათად შეხვდებით, სამწუხაროდ, ასეთს მშვიდობიანს, ზრდილსა და გულ-კეთილს ხალხს, როგორც გულეკრელნი არიან. აქ ვერ გაიგონებს კაცი ლანძღვა - გინებას უბრალოდ. სალამის მიცემა დიდებსაც და პატარებსაც ჩვეულებად აქვსთ გადაქცეული. ამ გარემოების უმთავრესი მიზეზი ის არის რომ ამ სოფელშივე არიან ბევრნი პატიოსანი კეთილ-შობილნი რომელთაც დიდი გავლენა ჰქონიათ და აქვსთ დღესაც დანარჩენი,

---

ხოცი გვერდით ვილაც მისდევს... თურმე ჩემი და, გლაშა, ყოფილა! სწორედ ის არის, ისა!... რა ჯანმრთელი ყმაწვილია, დაბროწილი, სადღესასწაულოდ მორთული, ნაწნავები ლენტითა აქვს შეკრული. უჰ! მერე რა ნაწნავები აქვს და! გაზაფხულზედ, უეჭველია, გასათხოვარი ქალი შეიქმნება; აი, თუ ყველას თვალი დარჩება იმაზედ... ჩვენში გაზაფხულზედ რა მშვენიერობაა! მდინარე ვოლგა ადიდდება ხოლმე, მოიმატებს წყალს. მე და გლაშა ჩავჯდებოდით პატარა ნავში და გავწევდით შორს, შორს კუნძულის იქით. კუნძულზედაც რა ნაირად გრილოდა და სიჩუმე სუფევდა ხოლმე! თითქოს ჩვენს მეტი ქვეყანაზედ არავინ მოიპოვებოდა; აბა, ისე უნდა გვეცხოვრა და ისეც უნდა მომკვდარვიყავით. მაშინ სიკვდილიც ხომ საშიში არ იქნებოდა. ერთხელ მომყავდა ნავით გლაშა საშინელ ქარიშხალში! გემები რა არი, ისინიც კი უძრავად იდგენ.

რა საშინლად გაშმაგებული იყო ვოლგა! მგონი რომ მარტო ვერც კი გავბედავდი სიარულს, ჩემ დასთან კი მესიამოვნებოდა კიდეც... აი, ეხლა, ეს ეს არი გვეცემა აქაფებული ტალღები და სასიკვდილოდ გაგვწირავს, ამ დროს ჩემი და კი მოჰყვებოდა ხარხარს. მთლად სოფელი მოგროვდა ჩვენ საცქერლად. ყველანი ჯავრობდენ! დედაჩემი კინაღამ ჭკუიდამ შეიშალა... «თქვე თავზედ ხელ-აღებულებო, ამისთანა ავდარში, პაწაწა ნავით წასვლა განა შეიძლება?.. ხომ დაიხრჩობოდით, მერე ვის ანაბარას მტოვებდით მე, მოხუცებულს? შენის მეტი ვინა მყავს...» მერე ჩემს დას რა მოუვიდა? ის ხომ ვილამაც მოგვტაცა... დიაღ, დიაღ მახსოვს, როდესაც დედაჩემი ძალუას უამბებდა: «ვეღარ მოითმინა, ვეღარ აიტანა იმანო,—ასე ამბობდა მამაჩემზედ,—იმის მეტი ქალი ხომ არა გვყავდა... საბრალო ძალად მოიტაცეს, გააუპატიურესო... თავი ვეღარ შეიმაგრა მამამ... აედევნა იმ საძაგელს, მოჰკლა. . ცულით შუაზედ გააპო... თავის შვილის გულისთვისო...» მოხუც დედაკაცს სიბრაზით თვალებიდამ ნაპერწკალი სცვიოდა. თუმცა მე ლოგინში ვიწექი, მაგრამ ყველა კი მესმოდა... იმას ეხლაც თვალ წინ უდგა მკრთალად განათებული ცეცხლის შუქით დედის ელვარებით სავსე თვალები და არც ერთი მაშინდელი სიტყვა ამას არ დავიწყებია.

— ის—მი—ნეთ! მოისმა საიდღამაც ქარის ხუილში ჩვეულებრივი ძახილი დარაჯების გამოსაფხიზებლად.

— მესმის, დედა ჩემო, ყველაფერი მესმის! ბუტბუტებს გაბრუებული დარაჯი. ნუ გგონიათ, რომ იმას სძინავს, ისე დახუჭია თვალები, რომ ცოტათი მაინც შეთბეს; კარგა იცის—ეს ყველაფერი მოლანდებაა, ნამდვილად კი ციხის დარაჯადა დგას. უნდა ტყვეებს უდარაჯოს, რომ არ გაიქცნენ. მეტადრე აი იმ მაღალ-მაღალს, ჭაღარა შერთულს... მგონი, ჩვენ ქოხში ეგ იყო, იმ ვაჟ-ბატონს რომ ცული დაჰკრა თავის ქალის გაუპატიურებისთვის. ის არის, ისა—ეგ მამა ჩემია, დიაღ მაგას უნდა ვუდარაჯო, თორემ გამომეპარება... ჰიდევ ჩვენ ქოხში მივა, დედაჩემიც მოჰყვება ტირილს. მაგასაც კიდევ მაშინდელივით დასჯიან. მე მახსოვს კარგა, როგორც დასაჯეს ეს.

და დარაჯს მოესიზმრა: ცხელი და პაპანაქი დღე. ხალხით სავსე ვეებერთელა მოედანი: სულ თავები მოჩანდა, თავები და თავები! შიგ შუაში, ყველაზედ მაღლა იდგა ვილაც წითელპერანგა კაცი... აი, იმან ამოიღო მათრახი, გააქვს ტკაცა-ტკუცი. თითქოს ყველაფერი თვალ-წინ მიდგას: ჩემ ნათლიას, ბიძია ალექსას, ხელში ვეჭირე, ახლოს მიმიყვანა წითელ-პერანგიან კაცთან. რა საშიშო რამ იყო, თვალები მწვანე ჰქონდა!.. ბიძაჩემმა შაური ჩამიდო ხელში. «გადუგდე ეგ იმას, გადუგდე?—ყვიროდა ხალხი—მაგან უნდა მამაშენი გალახოს, გადაუგდე!» მეც გადაუგდე ის შაური. «მიიღე შვილისაგან, ეგ იმის შვილია, უკვირის ხალხი... მოისმა ბუკის ხმა... ყველამ ქუდები მოიხა-

მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებაზედ. ჩხუბი, მტრობა აქ უფრო იშვიათი მოვლენა არის ვიდრე სხვაგან. დიდი გავლენა აქვს ხალხის ზნეობაზე სულიერს მამებსაც, რომელნიც ყოველ კვირას წირვის შემდეგ უქადაგებენ ხალხს და ნერგვენ მასში ქრისტიანობრივ სიყვარულს და კეთილ-ზნეობას.

დ. ფ—ა.

ვნისის 20-ს
ს. გუდეკარი.

უცხოეთი

ინგლისი. გარეშე პოლიტიკის შესახებ ახალი, კონსერვატიული სამინისტრო არავითარს პასუხს არ იძლევა ოფიციალურად ჯერ-ჯერობით. წინ-დაუხედაობა იქმნებოდაო ამ სამინისტროსგან ეხლავ გარეშე პოლიტიკისათვის ჩაევლო ხელი, როცა ჯერ თვის თავს ვერ გრძნოს მკვიდრს საფუძველზე. გარდა ამისა სალისბიურიმ გლადსტონთან შეჰკრა პირობა, რომელიც ნებას არ აძლევს მას, ჯერ-ჯერობით მაინც, თავისუფალის მოქმედებისას. ამიტომაც ახალი მეთაური სამინისტროისა არ მოისურვებს ეხლავე წავიდეს გლადსტონის წინააღმდეგ, რადგან მაშინ ამის კონსერვატიულს სამინისტროს დიდ ძალი ხმა მოაკლდებოდა. ეს გარემოება თვალ-წინ უნდა გვქონდეს ჩვენაო, ამბობს ერთი რუსული გაზეთი, და ამ ჟამად ახალს უთანხმოებას, დავიდარაბის ატეხასა არ უნდა მოველოდეთო. მაგრამ რომ ეს სალისბიურის სამინისტრო მომავალშიც ესე ხელ-გულ დაკრეფილი, დამშვიდებული არ იქნებაო — ესეც ცხადიაო. ამიტომაც იყო სასურველი, ეხლავე გაგვეგო—როგორს პოლიტიკას დაიჭერს კონსერვატიული სამინისტრო რუსეთის მიმართ, რაკი სრულს უფლებას სახელმწიფოს მმართვისას ხელთ მოიკრებს იგი, რაკი სხვისი (გლადსტონის) გავლენიდამ განთავისუფლდება.

ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელმაც სალისბიურის გაბედვინა ახალის სამინისტროს მეთაურობა ეკისრა, სხვათა შორის ისიც იყო, რომ მან მიიღო კერძო პირისაგან გერმანიიდამ ცნობა ვილჰელმის მძიმე ავად-მყოფობაზე. წერილი აცნობებდაო სალისბიურის, რომ გერმანიის იმპერატორმა კარგი უნდა, თუ ამ წლის ბოლომდი იცოცხლაო. კონსერვატორების გულითადი წადილი-კი, როგორც ერთი ფრანგული გაზეთი იწერება, ის არისო, რომ ინგლისის ბედი მათ ჰქონდეთ ხელში, როცა გერმანიის ტახტს დაიჭერს ახლანდელი მემკვიდრე ამ ტახტისა. ამ დროს მოუთმენლად მოელიან ის კონტინენტის სახელმწიფონი, რომელთაც ჰსურთ თავთავიანთი ძალ-ღონე გამოსცადონ ერთმანეთთან შებმით, და ამის ვითომ მიზეზად მხოლოდ გერმანიის ტახტზე ახალი იმპერატორის ასვლა დასდონ.

მეშხედიდამ აცნობებენ Times-ს, რომ ინგლისის გამმიჯნავი კომისია ამ ჟამად დაბანაკებულიაო ჰერატიდამ რამდენიმე ვერსის მანძილზე. ადგილობრივი მთავრობანი და ხალხი თავაზიანად, მეგობრულად ეპყრობიან კომისიასაო.

ამავე გაზეთს ბომბეიდამ აცნობებენ, რომ ჰერატს ძლიერ ამაგრებენ ამ ჟამადაო. ემირს მუდამ მოსდის ფულით შემწეობაო.

ამერიკის შეერთებული შტატები. ვერაფერი სახარბიელო ბედი ეწვია ჩრდილოეთ-ამერიკის-შეერთებულ-კავშირისაგან გაგზავნილს კელეის რომის ელჩის ადგილის დასაჭერად. ამერიკის შეერთებული შტატები უცხო ქვეყნებში თავიანთ ელჩების გამწესების დროს არ მიჰყვებიან იმ წესს, რომლითაც ევროპის სახელმწიფონი ხელმძღვანელობენ ხოლმე. ევროპის ყველა სახელმწიფონი ერთმანეთში შეთანხმებით ნიშნევენ ხოლმე თავთავიანთ წარმომადგენელთ. ამერიკის შეერთებული შტატები-კი წინ-და-წინვე არ გამოჰკითხვენ ხოლმე თანხმობას სხვა სახელმწიფოს, სადაც თავიანთ ელჩებს გზავნიან. მაგ.: შეერთებულს შტატები რომ წინ-და-წინვე დაჰკითხოდა იტალიას, მიიღებს თუ არა ეს სახელმწიფო კელეის, როგორც შტატების წარმომადგენელს—იგი უეჭველია უარს მიიღებდა. იტალიას გახსენდა ამ კელეისაგან შეურაცხყოფის მიყენება ვიკტორ ემანუელისადმი და, რასაკვირველია, არ მიიღო იგი. შემდეგ ამისა კელეი ვენაში დანიშნა თვის წარმომადგენლად შეერთებულმა შტატებმა, მაგრამ ავსტრიის მმართებლობამაც უარ-ჰყო კელეის წარმომადგენლობა და დღეს ეს, ორის სახელმწიფოსაგან უარ-ყოფილი კაცი პარიჟში იმყოფება. თუმცა ამ ჟამად ავსტრო-ვენგრიისა და ამერიკის შეერთებული შტატების შორის არავითარი უკმაყოფილება არ სუფევს, მაგრამ ეს უარ-ყოფა კელეის წარმომადგენლობაზე იმას ნიშნავსო, რომ ავსტრო-ვენგრიას ძვირად უღირს იტალიის კავშირი და ამ უარ-ყოფით გული მოიგო ამ სახელმწიფოისაო.

სუდანი. მაჰდი კვლავ ბრძანებლობს სუდანში. ქაირში მალე ვიქმნებიო, მიუწერია მაჰდის ამ ქალაქში. მაჰდის გამოუცია თვისი წესდება, რომლის ერთი მუხლი ვალად სდებს ყოველ მისს მომხრე მაჰმადიანს მოჰკლას ის ურცხო-ტომელი, რომელიც მაჰმადის სჯულს არ მიიღებს. ყოველი სამსჯავრონი, საელჩონი, მმართებლობის დაწესებულებანი და გაზეთები მოსპობილ უნდა აქმნენ; მაჰდი თვით დააარსებს ერთს ყოველ-თვიურს გაზეთს. თვისს წესდების ერთს ადგილს მაჰდი ამბობს: «თქვენ ჰგოდებთ, მმართლ-მორწმუნე მაჰმადიანნო, რომ მუდმივი ბრძოლა დროს არ გაძლევთ თაყვან საცემლად იაროთ ხოლმე მეკაში. განა არ უწყით, რომ ალაჰს ათასჯერ უფრო აამებთ ერთის გიაურის ჩაკვლით, ვინემ ათას-თვეობით ლოცვა-ვედრებით? სცანით, რომ სამოთხეს მოხვდებით არა მარტო ქალაქთა—დედის მეკისაგან, არამედ ყოველი ბრძოლის ველიდამ? გარწმუნებთ, რომ იგი, ვინც დილით სულს შესწირავს გიაურებთან ბრძოლაში, საღამოთი მაჰმადის სამოთხეში იქმნება».

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“
ივნისის 24-ს.

ბერლინი. აღმოსავლეთ პრუსიის ობერ-პრეზიდენტის განკარგულებით პრუსიიდამ კვლავ განიდევნებიან რუსეთის ქვეშევრდომნი პოლშელები.

ციურიხი (შვეიცარია). სახალხო კენჭის ყრამ უარ-ჰყო ციურიხის კანტონში სიკვდილით დასჯის ხელ-ახლად შემოღება.

ბირჟა

პეტერბურგი ივნისის 24.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე —	— $24^{5}/_{32}$ $24^{1}/_{4}$ $24^{5}/_{32}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე —	— 206 $206^{5}/_{8}$ $206^{1}/_{4}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე —	— $255^{1}/_{4}$ 255
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 20 კ. გაყ.
ტამოჟნის კუპონები	— 8 მ. 17 კ. გაყ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 30 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი —	— $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — —	— $98^{3}/_{4}$ მ. გაყ.
მეორე გამოცემისა	— $97^{1}/_{2}$ მ. გაყ.
მესამე გამოცემისა	— $97^{1}/_{2}$ მ. გაყ.
მეოთხე გამოც. —	— $97^{1}/_{4}$ მ. გაყ.
მეხუთე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. გაყ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. —	— 95 მ. გაყ.
მეორე გამოც. —	— $94^{3}/_{4}$ მ. გაყ.
მესამე გამოც. —	— $94^{3}/_{4}$ მ. გაყ.

დეს და პირჯვარი გადიწერეს. «ალიოშა, შენც პირჯვარი დაიწერე,—მეუბნება ვილაც გვერდით მდგომი,—ილოცე! შენი მშობელია...» და ვილასიც გამხმარი ხელი ჩემივე თითებით პირჯვარსა მწერს.

იმ წითლიანთან გვერდით სხვა დგას—მაღალი კაცი, ჭაღარა... ეგ სწორედ ის არის, ჩვენ ქოხში რომ იყო!.. აი, წითელ პერანგა ხდის იმას ტანისამოსს. ჭაღარა ყველას მძიმედ თავს უკრავს, დახე, მეც დამიკრა თავი... საბრალო გააწვინეს. «ილოცე!»—მეუბნება ბიძია პირჯვრის წერით და თან ტირის... ირგვლივ ყველანი პირჯვარს იწერენ და ქვითინებენ.

უეცრად წითელ-პერანგამ მოიქნია მათრახი და დაუყვირა: «მოემზადე, ტყავს გაგაძრობ!—მოისმა მათრახის შუილი და.... საზარელი კვნესა გაისმა. ეს ის მაღალი კაცი კვნესოდა... წითელ პერანგა სწკეპლავდა იმას ცხიდამ გამოპარვისთვის. . თურმე სამნი გამოქცეულიყვნენ. ორს თავი დაეხწია და ეს მაღალ-მაღალი კი დაეჭირათ, რომ მაღალი ტანისა იყო, ნახეს კედელზედ როგორც ცოცავდა. დახე, ეხლაც კიდევ ამოცოცდა.. »

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ! ეგ ის არის, მამაჩემია!.. ხომ კიდევ გაგწკეპლავენ, ჩადი ისევ ჩქარა!.. აი, დაგინახვენ, მოგკლავენ... ჩადი ჩქარა, და!..

დარაჯი აკანკალდა. წინ უდგა მაღალ-მაღალი, ჭაღარა შერთული ტუსაღი. თოფი ხელიდამ დავარდა. «მამავ, ჩემო მშობელო!» შეჰყვირა სასო-წარკვეთილებით სალდათმა და უგონოდ გაიშოტა იმის ფეხ-ქვეშ. ტუსაღი გაოცებული იდგა, ვერც-კი გაიგო მეორე დარაჯმა ორჯელ როგორ უკივლა.

მოისმო თოფის ხმა. ტუსაღი წაიქცა.

ასტყდა ჩოჩქოლი და ბუკის ცემა.

ზედ წყლის ნაპირას იპოვეს თავგატეხილი ტუსაღი და იმის გვერდით უგონოდ დაგდებული დარაჯი.

—

რადგან გამოპარული ტუსაღი შესანიშნავი პირი იყო და ომიანობის დროც იდგა, ამ დარაჯის საქმე სამხედრო სამართალით განიხილეს. იმან თავის პირით აღიარა, რომ ნახა ტუსაღი როგორც იპარებოდა, მაგრამ თოფი არ ესროლა, რადგან ამისი მამა იყო. რასაკვირველია, არავინ არ დაუჯერა, მეტადრე იმიტომ, რომ ტუსაღი მაღალ წოდებას ეკუთვნოდა. ამ ახალგაზრდა სალდათს დახვრეტა გადუწყვიტეს. იმან არაფრად ჩააგდო ეს განაჩენი. სიკვდილის უკანასკნელ წამამდინ იმას ის რწმუნება ანუგეშებდა, რომ მამას თავი უშხვეროლა. მეორე დღეს, დილის ექვსს საათზედ, ის უნდა დაეხვრიტათ. გულდინჯად უთხრა მღვდელს თავისი აღსარება, მხურვალედ და სასოებით ემთხვია ჯვარს. ამ დროს ზღვიდამ უეცრად გამოანათა მზემ წითლად და ნათელი მოჰფინა მთელ არე-მარეს. შემოდგომის მშვენიერი დღე იწყობოდა. სასიკვდილოდ დამზადებული ცოტა არ იყოს შეკრთა, სიცოცხლის სურვილმა გაიტაცა მთლად იმისი არსება. გადახედა მღვდელს, რომლის ხელშიაც ჯვარცმა კრიალებდა. მიიწია იმისაკენ, დაიჩოქა და ქვითინით ემთხვია ხატს... მოისმა ბრძანება... თვალები აუხვიეს. «მშვიდობით სიცოცხლევ! მშვიდობით დედა ჩემო, დავ!... «მაგრამ, რატომ არ დაუბნელდა თვალები? ის ხედავს, რომ მზეს კაშკაში გააქვს. ვეებერთელა მოედანი ხალხით სავსეა: სულ თავები მოჩანს, თავები და თავები!... შიგ შუაში, ყველაზედ მაღლა, დგას ვილაც წითელ პერანგა კაცი, იმას გვერდით სხვა, მაღალი ჭაღარა შერთული... მამავ!.. აი, წითელ პერანგა კაცმა მოიქნია მათრახი, ვილამაც დაიყვირა... დაჰკრეს ბუკი. ერთ-ხმად მოისმა თოფების სროლა. იმას არცკი გაუგია-რა. სუდარაზედ ექვსი წითელი ლაქა გამოჩნდა...

საბრალო ახალ-გაზრდავ, არ გეღირსა მოხუცისა და უძლურის დედი შენის ნახვა!...

ანას. თუმანიშვილისა.

5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	$225\frac{1}{4}$ მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა	$211\frac{1}{2}$ მ. გაყ.
ოქროს რენტა — —	170 მ. 12 კ. გაყ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები — — —	27 წ. 89 მ. გამყ.
	43 წ. $88\frac{3}{4}$ მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამყ.
	43 წ. 90 მ. გამყ.

ივნისის 25.

პარიჟი. პალატამ დაამტკიცა მორიგებითი პირობა ჩინეთთან. გიუეში მომომხდარ არეულობისა გამო მინისტრმა განაცხადა, რომ დიდი არეულობა ანამეში და თონკინში არ მოხდება, რადგან ამ ჟამად იქ 3,500 საფრანგეთის ჯარის კაცი დგას.

ლონდონი. ლორდთა პალატაში გუშინ სალისბერიმ განაცხადა: რუსეთთან მოლაპარაკების საქმე უპირველესი საგანია ამ ჟამად; ამ საგნისა და სხვა საგნების შესახებაც აუცილებელი საჭიროა ყოფილის კაბინეტის პოლიტიკას მივჰყვეთ იმ რიგად, რომ მოლაპარაკებათა შედეგი გამოსადეგი იყოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ახალს კაბინეტს თავისუფლად არ შეუძლიან მოქმედება, რადგან მას შესასრულებელი აქვს თავის წინამოადგილეთა ვალდებულებანი. კაბინეტი ვალად სთვლის ამ გვარ მოქმედებას; რაც შეეხება ზულფიკარის გასავალს, ეს უმთავრესი საგანია იმ განხეთქილებაში, რომელიც რუსეთთან გვაქვს ჩვენ ავღანის სამზღვრების გამო. ინგლისი შეჰპირდა ემირს, რომ ზულფიკარი ავღანს დარჩება და ამიტომ მოვალეცაა შეასრულოს ეს დაპირება. ეს დაპირება, მართალია, მოხდა რუსეთისა და ინგლისის შორის შეთანხმების შემდეგ, რომ ზულფიკარი ავღანს დარჩენოდა, მაგრამ შემდეგში ამ საქმის გამო კიდევ ჩამოვარდა განხეთქილება, რაიცა დღეს მოლაპარაკების უმთავრესი საგანია. ამ ჟამად უდროოა იმის თქმა, თუ რა ბოლო—ექმნება ამ მოლაპარაკებასა. ყოველს შემთხვევაში კი ორთავ მხარეს სწადიანთ ამ საქმის გათილად დაბოლოვება; ესეთი შედეგიცაა მოსალოდნელი; მაგრამ ამის გადაწყვეტით თქმა არ შეიძლება. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ქალი გარდაეცვალა და ამის გამო მას არ შეუძლია განაგრძოს მოლაპარაკება; მაინცა-დამაინც ავღანის სამზღვარზე მოლაპარაკების დაბოლოვებას დიდს მნიშვნელობას არ უნდა ვაძლევდეთ. აზიაში საქმე ვერ მიდის კარგად. ინგლისი არ უნდა დაენდოს აზიის მთავრებისაგან მოცემულ პირობათა. ინგლისს იმედი აქვს დაიცვას კავშირი ავღანის ემირთან, მაგრამ ეს არ უნდა უშლიდეს მას ენერგიული ზომები მიიღოს თავის სამზღვრების გამაგრებისათვის. აუცილებელი საჭიროა—ყოველ სუსტ ადგილებზედ აგებულ იქმნენ სიმაგრენი, რომელთაც უნდა დაიცვან არა მარტო თავისი სამზღვრები, არამედ ამ სამზღვრებიდამ დიდს მანძილზედ მოშორებითაც იმოქმედონ, იმ რიგად, რომ ბრძოლის ველი სამზღვრებიდამ მოშორებული იყოს.

განცხადებანი

შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542).

(46—19)

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 30 ივლისს ამა 1885 წლისა ქ. თბილისს თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის სადგომში, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, ბანკის სახვედრო გადასახადთა მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებაების ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანათი მანათად; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლისა ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 16 აგვისტოს ამა 1885-ს წელსა.

$18\frac{7}{12}$ წლიანი სესხი.

ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში ბალის ქუჩაზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 204 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 24,236 მან. 52 კაპ. შესავს. გარდასახ. 2841 მან. 12 კაპ. სულ 27,077 მან. 64 კაპ.

მემკვიდრეთა მირზოევისა, ივანე მინას-ძის: 1 განყოფილებაში 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და დუქნებით სარდაფებით და მიწა, 758 კვადრ. საჟ. თავნი ვალი, 96,945 მან. 93 კაპ. შესავს. გარდ 13,921 მან. 85 კაპ. სულ 110,867 მან. 77 კაპ.

მისივე: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე ქვითკირის დუქნები, სარდაფით და მიწა, 1259 კვადრ. საჟ, თავნი ვალი 105,024 მ. 80 კაპ. შესავს. გარდ. 15,074 მან 03 კაპ. სულ 120,098 მ. 83 კ.

მისივე: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, დუქნებით და მიწა, $243\frac{1}{2}$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 105,024 მან. 80 კაპ. შესავსები გარდ. 15,073 მან. 10 კაპ. სულ 120,097 მან. 90 კაპ.

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: 1 განყოფილებაში, 4 ნაწილში განოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ოთხ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 236 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 36,819 მან. 54 კაპ. შესავს. გარდ. 3774 მან. 29 კაპ. სულ 40,593 მან. 83 კაპ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს-ძის: 1 განყოფილებაში 4 ნაწილში ველიამინის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 236 კვადრ საჟ, თავნი ვალი 16,560 მან. 95 კაპ. შესავსები გადასახ. 1540 მან. 10 კაპ. სულ 18,101 მან. 05 კაპ.

მირზოევისა, ბარბარე მიხაილის ასულის: 1 განყოფილებაში 3 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი დუქნებით და მიწა, 138 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 49,397 მან. 04 კაპ. შესავს. გარდ. 3867 მან. 27 კაპ. სულ 53,264 მან. 31 კაპ.

ბარათოვისა, ნინა ალექსანდრეს ასულის: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში ბებუთოვის და კონსულის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 108 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 19,065 მან. 52 კაპ. შესავს. გარდასახ. 1352 მან. 53 კაპ. სულ 20,418 მან. 05 კაპ.

გიზაროვისა, ავეტიქ კარაპეტის-ძის: 1 განყოფილებაში, 5 ნაწილში საზოგადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 103 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 8666 მან 20 კაპ. შესავ. გარ. 660 მან. 74 კაპ. სულ 9326 მან. 94 კაპ.

შირაქოვისა, ივანე მიხაილის ძის: მეორე განყოფილებაში, მერვე ნაწილში, ჩუღურეთში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 149 კვადრ. საჟ, თავნი ვალი 12,132 მან. 65 კაპ. შესავს. გარდასახ. 1126 მან. 18 კაპ. სულ 13,258 მან. 83 კაპ

კოზლოვისა, იოსებ ელასას-ძის: მეორე განყოფილებაში პანასევიჩის და ნიკოლოზის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 360 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 15,046 მან. 05 კაპ. შესავს. გარდ. 301 მან. 99 კაპ. სულ 15,348 მან. 04 კაპ.

ბაჭიკოვისა, სალომე ტატოს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, დავითის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 83 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 3611 მან. 90 კაპ. შესავს გარდასახ. 261 მან. 66 კაპ. სულ 3873 მან. 56 კაპ.

იოსელიანისა, იასონ სოფრომის-ძის: მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში ელისაბედის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი მეზონინით და მიწა 2212 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 27,089 მან. 25 კაპ. შესავს. გარდასახ. 2754 მან. 06 კაპ. სულ 29,843 მან. 31 კაპ.

ომელოვისა, ნინო ივანეს ასულის: 1 განყოფილებაში ოლღას ქუჩაზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 9932 მან. 71 კაპ. შესავს. გარდ 451 მან. 40 კაპ. სულ 10,384 მან. 11 კაპ.

თბილისის გუბერნიის და მისივე მაზრისა.

$43\frac{1}{2}$ წლიანი სესხი.

მაღალოვისა. დავით იოსების-ძის: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე 141 დესიატ 1720 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1949 მან. 23 კაპ. შესავს. გარდ. 145 მან. 26 კაპ. სულ 2094 მან. 49 კაპ.

მიღალოვისა, სოფიო იოსების ასულის: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2933 მან. 27 კაპ. შესავს. გარდ. 222 მან. 12 კაპ. სულ 3155 მან. 39 კაპ.

გორის მაზრისა.

ერასთავისა, გრიგოლ პავლეს-ძისა: ნიგოზას აგარს სახნავ-სათესი, ტყე და საძოვარი 452 დესიატ 60 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 7796 მან. 74 კაპ. შეს, გარდ. 129 მან. 36 კაპ. სულ 7926 მან. 10 კაპ. (3—3)

Доз ценз. Тифлисъ, 25 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა